# დილა

№1. 2005 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამალი ვარ სანაქებო,
სიზარმაცე არ მაქვს წესად.
მე ბუნებამ საგანგებოდ
დილის მაცნედ გამამწესა.
მოგილოცავთ პატარებო,
ამ ფრთებნათელ ახალ წელსა!
ყ ი ყ ლ ი ყ ო ო ო ო!

გივი ჭიჭინაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



მზია ჩხეტიანი

## ალილო

ალილოო...
შობის მამალი
აფრინდა ფრთების ფათქუნით...
ღმერთო, დალოცე, მაღალო,
ეს ცა, ეს მიწა ქართული!
დალოცე ხალხი ქართველი,
მისი ბაღი და ვენახი,
გაიოცებდეს მნახველი,
ეთქვას, ავ თვალს არ ენახვის!
გვხმობდნენ ქოჩორა მამლები
სულ ყოველ ახალ წელიწადს,
ჩვენს თავზე შემოსავლები
დიდედის ტკბილი ხელითა.
გაგვმარჯვებიყოს მტრებზედამც
სიმართლით უნაპიროთი, —
ზე გარდმოვიდეს ჩვენზედა
შობის მადლი და მირონი!
ალილოო...
რა დღე თენდება!
ანგელოზები მღერიან,
სანთლებს აგვინთებს ბერდედა,
დაგვლოცავს...
ჯვარიმც გვწერია!

ლიდა სტვილია

## პირველთოვლობა

სიხარულით ჩამომართვა
თოვლმა თეთრი თათები...
მაგრამ... ხელი გამეყინა,
შევალ, ცეცხლთან გავთბები...

ვაჟა ბაბუ

## ზამთარია... თოვს...

ზამთარია... თოვს...
თოვლი რთავს და ქსოვს,
ფანტელების საბანს
მთვარე შუქით ლამბავს;
ყინვის გამლღვალ მძივის
ცვარ-ბინულით ნაბანს,
საბნის ვერცხლში სძინავს
ასარკებულ მთა-ბარს.
საქუდბედოდ ავირჩევთ —
ვისაც რა გვსურს, ვინებოთ:
მთა თქვენა და ბარი ჩვენ,
მთის რჩეულო შვილებო.



მხატვარი
მანანა მორჩილაძე

**მანანა ხომერიკი**

*ამ მოთხრობამ „დილის" ლიტერატურულ კონკურსში პრემია დაიმსახურა.*

# გულით სატარებელი საჩუქარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, სადაც მაღალი, თოვლიანი მთებია, მიუვალ კლდეთა შორის დგას ბროლივით გამჭვირვალე ყინულის სახლი, რომლის პოვნა ყველაზე ყოჩაღ, გამოცდილ მთამსვლელსაც არ შეუძლია.

ამ სახლში დიდი ხანია ცხოვრობს ორი მოხუცი: თოვლის პაპა და თოვლის ბებია. ისე არიან მიჩვეული სიცივეს, სითბო რა სახსენებელია, მზემ ერთ წუთსაც რომ შემოუჭვრიტინოთ, ცემინება და ხველა აუტყდებათ. ამიტომ ყინულის სახლთან მუდამ ნისლია დადარაჯებული და მზის სხივებს ახლოს არ აკარებს.

ერთ ზამთარს, როცა მოხუცები ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდნენ, მზის აცელქებული სხივები საიდანღაც დაუსხლტდნენ მთებში ჩასაფრებულ ნისლს და ყინულის სახლში შეიპარნენ. სახლში ყინულის ტახტზე იჯდა თოვლის პაპა, ხელში ჩონგური ეჭირა და ზედ დასძახოდა:

აბა, დელი დელია,
ხვალ ახალი წელია.
ნაძვის ხესთან ყმაწვილებს
ყელი მოუღერიათ.
ავიკიდებ ჭრელ ხურჯინს,
აღმა-დაღმა ვატარებ.
საახალწლო საჩუქრებს
დავურიგებ პატარებს.

მზის სხივებს თოვლის პაპას სიმღერა მოეწონათ და ჩონგურის ჰანგებს აჰყვნენ, აცეკვდნენ, ყინულის სახლის ჭერი და კედლები ცისარტყელას ფერებით მოხატეს. მერე თქვეს, მოდი, თოვლის პაპა გავათბოთო. მოხუცს ჯერ ხელები გაუთბეს, მერე სიცივით გალურჯებულ ცხვირზე მიეფერნენ.



უცებ თოვლის პაპამ ისე ხმამაღლა დააცემინა, გეგონებოდათ, მეხი გავარდაო. ხველაც აუტყდა. თითქოს მიწა იძრაო, ყინულის სახლი აზანზარდა, სახურავიდან ყინულის ჩურჩხელები ჩამოცვივდა, მთებს თოვლის ზვავები მოსწყდა და უფსკრულებში გრიალით ჩაეშვა.

შეშინდნენ მზის სხივები – ეს რა ბრაზიანი თოვლის პაპა ყოფილაო, და ცხრა მთას იქით გაუჩინარდნენ.

რაღა ემღერებოდა თოვლის პაპას, მზის სხივების სითბომ ცუდად გახადა. ჩონგური გვერდზე გადადო, ყინულის ტახტზე წამოწვა, თოვლის ფუმფულა საბანი გადაიფარა და თოვლის ბებიას გასძახა: იქნებ მომხედოო!

ყინულის ტახტთან თოვლის ბებია მიხუსხუსდა.

– ადამიანო, რა ხველა აგიტყდა. დაინგრა ქვეყანა, უფსკრულები ზვავებმა გაავსო. ლამის ეს ყინულის სახლი თავზე დაგვექცესო!

– საიდანღაც მზის სხივები შემოიპარნენ, გამათბეს და ცუდად გავხდიო! – შესჩივლა თოვლის პაპამ მეუღლეს.

თოვლის ბებიამ თოვლის პაპას კიდევ ერთი თოვლის საბანი დაახურა.

– ცივ ჩაის დაგალევინებ, სითბოს გამოიტანს და კარგად გახდები!

– ვითომ ცივ ჩაის შოკოლადის ნაყინი არ სჯობია? არც შაქარლამაზე ვიტყოდი უარს! სურდოსა და ხველების დროს შესანიშნავი სამკურნალო საშუალებებია!

– ხომ იპოვე მიზეზი ტკბილეულის სასუსნავად?!

თოვლის ბებიამ ყინულის ტოლჩაში სამკურნალო ბალახები ჩაყარა, წყაროს ცივ-ცივი წყალი დაასხა, შიგ ერთი კვნიტი შაქარყინული ჩააგდო და ავადმყოფს მიართვა.

თოვლის პაპამ წამლით სავსე ტოლჩა სულმოუთქმელად დალია, შაქარყინულიც დააგემოვნა, თოვლის საბანში ჩარგო თავი და ბებიას უთხრა:

– სასწრაფოდ უნდა მოვრჩე, ხომ იცი, ხვალ ახალი წელია და ბავშვებთან დაგვიანება არ შეიძლება!

F9506

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი
**ზაურ დეისაძე**

მართლაც, ცოტა ხანში თოვლის პაპამ თოვლის საბნები გადაიხადა და ყინულის ტახტზე წამოჯდა.

– ვატყობ, წამალმა მიშველა, თავს კარგად ვგრძნობ! ახლა ეგ მითხარი, ბავშვებთან საჩუქრად კიდევ რას მატან?

თოვლის ბებია მეუღლის გვერდით ტახტზე ჩამოსკუპდა და დაიწყო:

– შოკოლადისა და ნაღების ნაყინი ხომ ვთქვი?!

– თქვი! – თოვლის პაპამ დასათვლელად ხელის თითები მოიმარჯვა და ნეკი მოხარა.

– შაქარყინული!

– ეგ ორი!

– არა, პირველად გოზინაყი უნდა მეთქვა. ბავშვები ჯერ გოზინაყით ჩაიკოკლოზინებენ პირს!

– მართალია, – დაეთანხმა თოვლის პაპა და ერთი თითი კიდევ მოხარა, – იფ, რა ძალიან მიყვარს გოზინაყი. კიდევ რით გავახარებთ ბავშვებს?!

– რითა და ბლომად შოკოლადის გუნდები მოვამზადე!

– თოვლის გუნდები გამიგია, შოკოლადისა კი არა! – გაოცებით წამოიძახა თოვლის პაპამ.

– შოკოლადის გუნდა ჩემი ნახელავია; ნიგვზის, ნუშისა და თხილის გული შოკოლადშია გადაზელილი, ისეთი გემრიელია!..

– მოიტა, ცოტას მეც გავსინჯავ. ნაავადმყოფარს მომიხდება! – შეეხვეწა თოვლის პაპა მეუღლეს და ნერწყვი გადაყლაპა.

თოვლის ბებიამ უარის ნიშნად თავი გააქნია:

– ნუ, მე ხომ გითხარი, ბავშვების საჩუქარს ერთი თხილიც არ მოაკლდება-მეთქი!

– ხო, კარგი, კარგი, განაგრძე, კიდევ რა მიმაქვს ბავშვებთან?

თოვლის ბებიამაც ჩამოთვალა: ნაირ-ნაირი ხრამუნა ნამცხვრები, კნატუნა კანფეტები, შოკოლადები, თათარაში გავლებული ჩურჩხელები...

თოვლის პაპას თითები არ ეყო ამდენი რამერუმეს დასათვლელად, იმით კმაყოფილმა, რომ ხვალ საჩუქრებით გატენილი ხურჯინით მიულოცავდა ბავშვებს ახალ წელს, ულვაშებში ჩაიღიმა და ფანჯარაში გაიხედა. გარეთ ზამთრის უღრუბლო, ვარსკვლავიანი ღამე ჩამომდგარიყო, თოვლიანი მთის მწვერვალები ნამგალა მთვარეს ოქროსფრად მოევარაყებინა.

– ახლა კი ჩემი გამგზავრების დროაო, თქვა და აფუსფუსდა. საჩუქრებით სავსე ხურჯინს თავი მაგრად მოუკრა, მხარზე გადაიკიდა, ხელში ჩონგური დაიჭირა და იკითხა:

– ხომ არაფერი დარჩა ხურჯინში ჩასადები?!

თოვლის ბებია ჩაფიქრდა, ეშმაკურად ჩაიცინა და თქვა:

– დარჩა, როგორ არა, დარჩა!

– მერე რას უყურებ, მოიტა, ხურჯინში როგორმე მოვუძებნი ადგილს!

თოვლის ბებიამ უარის ნიშნად ხელები გაასავსავა.

– არა, იმისთანა საჩუქარია, ხურჯინში არ ჩაიდება!

– ჯიბეში?

– არც ჯიბეში!

– განა მაგისთანა რა არის? – გაოცდა თოვლის პაპა.

– სიყვარული, სიყვარული! იგი არც ხურჯინში ჩაიდება და არც ჯიბეში. გულით უნდა ატარო, გულით უნდა უსურვო და გაუნაწილო პატარებს!

– ეგ ხომ მეც კარგად ვიცი! აბა, ერთი კარი გამოაღე!

თოვლის ბებიამ ყინულის სახლის კარი ფართოდ გამოხსნა.

თოვლის პაპამ ჩონგური მოიმარჯვა და სიმებს თითები ჩამოჰკრა.

მთვარის შუქითა და თოვლის სითეთრით განათებულ მთის ბილიკებს ყოჩაღად გაუყვა. ფეხდაფეხ ადევნებულ ცელქ ნიავს შორს, შორს მიჰქონდა ჩონგურზე ნამღერი ლექსი:

აბა, დელი დელია,
ხვალ ახალი წელია...

მარიამ წიკლაურ-ძიძიგური



## ციცა და პიცა

კუმ დააცხო პიცა,
დაპატიჟა ციცა.
ციცას ჰყავდა კნუტი
ექვსი, განა ხუთი!
კნუტებს ჰყავდათ ძიძა,
ძიძას ჰყავდა ბიძა,
ბიძას ჰყავდა ცოლი,
ცოლს – მამიდა ორი,
იმ მამიდებს – დობილები,
ჯიპებით და მობილებით.
დაურეკეს მეგობრებს,
კლასელებს და მეზობლებს,
შეიყარნენ კუსთან
აგარაკზე, რუსთან.
აღარ შეხვდა ციცას
კუს დამცხვარი პიცა.
– კუმ რაღა ქნა? – ციცას
რეცეპტიღა მისცა.

## ყვავი კუჭრა

დევი ხარშავს ფიფინას,
ქვაბი გააპიპინა.
დაპატიჟა ყვავი კუჭრა,
შეჭამანდი იყო მუქთა.
ყვავმაც ჭამა,
სუქდა-სუქდა,
სულ შესანსლა ფიფინა,
მაღლა ველარ იფრინა.
შხორკიალა – კიალა,
ფორთხვა-ფორთხვით იარა,
ველარ ჩაიტია ბუდეში,
ცალი ფეხი გარეთ უდევს.

## საშობაო კონცერტი

ბუს ბახალა ბუკა
სიხარულით ბუქნავს.
– ვინ ესტუმრა? – დეიდა.
– რა მიართვა? – ფლეიტა.
– რა კარგია, ჰეიდააა,
დაკვრას ვიწყებ დღეიდან!
როიალის პედალს
ვერ სწვდებოდა ბედად,
ვიოლინოს ხემიც
იყო მალზე გრძელი.
მძიმე იყო ჩელოც,
ტყეში როგორ ევლო?
ჰოდა, ჩვენი ბუკა
ფლეიტაზე უკრავს.
– საშობაოდ ვმართავ კონცერტს!
ბილეთებში ვითხოვ ორ ცენტს!
– პროგრამაში რა გაქვს, ბუკა?
– რა თქმა უნდა, „ღამის ფუგა“!
ჭოტი გახლავთ მაესტრო,
ყველა უნდა დაესწროთ!

მხატვარი
ლელა ტაბლიაშვილი



# ლეგენდები ლეგენდარულ ადამიანებზე

## დიდი პოეტის დიდი წინაპრები

**„როდესაც გაურის ქროხები ხმელეთზე გადავლენ, მაშინ ახლო იქნება ჟამი განკითხვისა."**

ასე იწინასწარმეტყველა დაახლოებით შვიდ-ნახევარი საუკუნის წინათ ლეგენდარულმა შოტლანდიელმა თომას ლერმონტმა — დიდი რუსი პოეტის მიხეილ ლერმონტოვის შორეულმა წინაპარმა.

რა იმალება სიმბოლური სახის — „გაურის ქროხების" მიღმა? წინასწარმეტყველს ნაგულისხმევი ჰქონია ორი ლოდი, რომლებიც აივერგაურის მახლობლად, თეის ვიწრო ყურის სანაპიროს ქვემოთ დგანან. რას ნიშნავს ამ „ქროხა-ქვების" ხმელეთზე გადასვლა? ამბობენ, რომ ეს ლოდები წელიწადში ერთი დუიმით (0,04 დუიმი = 25,40 მმ-ს) უახლოვდებიან ხმელეთს, თუმცა როდის მოახლოვდება განკითხვის ჟამი, ცხადია, არავინ იცის.

ამჯერად ორიოდ სიტყვით თვით თომას ლერმონტზე და მის იმ წინასწარმეტყველებებზე ვისაუბროთ, რომლებიც უკვე ზედმიწევნითი სიზუსტით ამხდარან...

თომას ლერმონტი ცხოვრობდა XIII ს-ის შოტლანდიაში. როგორც მისი შორეული შთამომავალი მიხეილ ლერმონტოვი, თომასიც პოეტური ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. შესაძლოა, მისი პირველი ლექსების შთაგონების წყარო ელდონის ბორცვებიც კი ყოფილიყო, რომელთა ძირში მისი მშობლიური ერსილდუნი განფენილიყო.



### ერსილდუნის აკაცია

ერსილდუნის სანახებში ერთი ულამაზესი აკაცია მდგარა. თომასი თურმე ხშირად დადგებოდა და ჩაფიქრებული დიდხანს მისჩერებოდა ძველის ხეს. ერთხელ ერსილდუნელებს უკითხავთ:

— თომას, რატომ უყურებ ასე დაჟინებით მაგ აკაციას?

**— სანამ აკაცია არ წაიქცევა, მანამ ერსილდუნი მამულებს შეინარჩუნებს!** — უპასუხებია წინასწარმეტყველს.

და, მართლაც, როცა ხე ქარით დანარცხებია მიწას, ხულ მალე გრაფულიაც სწყვეტია ერსილდუნს — მისი ვაჭრები გაკოტრებულან, კიდევ ცოტა ხანში კი, უზარმაზარი მიწებიდან ერსილდუნს უკანასკნელი მტკაველიც დაუკარგავს.



მხატვარი
ვაჟა ქურხული

### „მაშინ ბრუდის წყარო..."

**„მაშინ ბრუდის წყარო მეწამული გახდება"** — უთქვამს ლერმონტს და ორი ათეული წლით ადრე ადგილთან ერთად ზუსტად დაუსახელებია დროც — 1314 წელი! სწორედ ამ წელს ბანოკბერნის ბრძოლაში შოტლანდიელებმა მეფე რობერტ ბრიუსის (I-ის) წინამძღოლობით სასტიკად დაამარცხეს ედუარდ II-ის ჯარები. წინასწარმეტყველება ახდა — ინგლისელთა სისხლმა პატარა მდინარე ბრუდი წითლად შეღება.



### როგორი ამინდი იქნება ხვალ?

**1296 წლის 18 მარტის სუსხიან და ნისლიან დღეს** ალექსანდრე III-მ, ერთ-ერთმა შოტლანდიის სახელგანთქმულ და ბრძენ მეფეთაგან, გრაფი მარჩი გაგზავნა თომას ლერმონტთან და დაავალა ეკითხა, როგორი ამინდი იქნებოდა შოტლანდიაში მეორე დღეს, ე. ი. 19 მარტს.

— თომას, — ეკითხავს გრაფს, — როგორი ამინდი იქნება ხვალ?

**— ხვაალ? ხვალ ნაშუადღევისათვის ისეთი ქარბუქი ამოვარდება, როგორიც არასოდეს უხილავს შოტლანდიას.**

მეორე დღეს წყნარი და ნათელი დილა დადგა. ამინდს კარგი პირი უჩანდა. გრაფმა შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და წინასწარმეტყველი „შეცდომისთვის" გაკიცხა, მაგრამ საუბარიც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ოთახში მაცნე შევარდა:

— მეფე გარდაიცვალა!

თურმე მეფე შოტლანდიის ციცაბო გზაზე ცხენიდან გადმოვარდნილიყო და სასიკვდილოდ დაშავებულიყო.

— აი, — უთქვამს ლერმონტს, — ახლა კი შოტლანდიაში დიდი ქარბუქი დატრიალდება!

მართლაც, 1296 წელს ინგლისის ჯარები შოტლანდიაში შეიჭრნენ. იქიდან მოყოლებული 1314 წლამდე შოტლანდიელებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. 1305 წელს ედუარდ I-ის ჯარებმა უილიამ უოლესის მეთაურობით აჯანყებული შოტლანდიელები დაამარცხეს. უოლესს თავი მოჰკვეთეს. 1306 წელს ახალი აჯანყება რობერტ ბრიუსმა წამოიწყო. ამ დროიდან ვიდრე 1329 წლამდე ის მეფობდა შოტლანდიაში რობერტ I-ის სახელით. 1314 წელს შოტლანდიელებმა გაანადგურეს ედუარდ II-ის ჯარები. ისტორიაში ეს ბრძოლა „ბანოკბერნის ბრძოლის" სახელითაა შესული. სწორედ ამ ბრძოლაში ინგლისელთა განადგურება იწინასწარმეტყველა თომას ლერმონტმა.

### უნია

ინგლის-შოტლანდიის სამეფოთა გაერთიანება დიდი ხნით ადრე იწინასწარმეტყველა თომასმა. მეტიც, მან ისიც თქვა, რომ ამ უნიის ხელმომწერი იქნებოდა საფრანგეთის დედოფლის ვაჟი, შოტლანდიელი გმირისა და მეფის ბრიუსის შთამომავალი. აი, რას ამბობდა ლერმონტი:

**„როცა ფრანგთა დედოფალი ძეს შობს,
იგი ზღვიდან ზღვამდე დაიპყრობს ბრიტანეთს,
მის შთამომავალთა ქვეშევრდომნი გახდებიან შოტლანდები და ბრიტები".**

ვის იგულისხმა ნათელმხილველმა დედოფალსა და ძეში?

მოკლე ისტორიული ექსკურსი:

1542 წელს დაიბადა შოტლანდიის ტახტის მემკვიდრე, იაკობ V-ის ასული, პრინცესა მარიამ (მერი) სტიუარტი. ირონიულად გოგონა დაბადებისთანავე გახდა დედოფალი, ფაქტობრივად კი, შოტლანდიის ტახტზე 1561 წელს ავიდა.

1558 წელს პრინცესა გაათხოვეს საფრანგეთის მომავალ მეფეზე — ფრანცისკ II-ზე. 1560 წელს ფრანცისკ II-ის გარდაცვალების შემდეგ იგი დაბრუნდა შოტლანდიაში და ჰენრი დარნლეიზე დაქორწინდა. 1567 წელს მარიამ I სტიუარტი კალვინისტმა წარჩინებულებმა ტახტიდან ჩამოაგდეს. ამავე წელს ტახტზე ავიდა დარნლეისა და მარიამ სტიუარტის ვაჟი იაკობ VI., რომელიც 1603 წლის 3 აპრილს სათავეში ჩაუდგა ინგლის-შოტლანდიის გაერთიანებულ მონარქიულ სამეფოს, ე. წ. უნიას და მეფობდა იაკობ I-ის სახელით (1566 — 1625 წწ.) ასე აღსრულდა დიდი ნათელმხილველის ეს წინასწარმეტყველება.

**მოამზადა ალეკო გაბელაიამ**



რეზო ესაძე

# ქვეყნად რომ არ იყოს ომი...

(იგავი)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

აჰა, მამლაყინწა ყივის,
იმართება მუშტი-კრივი...
რინგზე ხვდება ღუტუ მურას,
ფისო გაიძახის „ურას!“
ზღარბი ფისოს ეუბნება:
„ფისო, ფისო, რა მოგდისო?
ურა-ურა, ვაშა-ვაშა,
გაუმარჯოს ჩვენს დიდ მარშალს!“
„...რომელ მარშალს, ღუტუნიას?!..“
ხალხში სიცილ-ჩურჩულია.
უცებ ღუტუს დაჰკრეს დინგზე,
ისე მძლავრად, პირველ რიგზე
ღუტუს ცოლი ცუდად გახდა...
თუმცა, იქვე ღუტუმ ისე
დაჰკრა მურას, მურა კისერს
(თავს ვერ იჭერს) ვეღარ მართავს!..
...ახლა მურა ურტყამს ღუტუს,
ისე მძლავრად უბაგუნებს,
სისხლი დასდის ღუტუს ყურებს!..
„დამარცხდება ღუტუ ნუთუ?“
იხვი ამბობს: „უტი-უტი,
ნაღდად იყო ნოკაუტი!..“
გაფხორილი ინდაური
შემოახევს სპილოს მუნდირს...
იგი მხარს უჭერდა მურას,
თვალდაპრაწულს და დიდყურას...
კუსავს თვალებს კუ და ვირთხა
სინანულით კეფას იფხანს...
„ოი, ოი,“! — ღუტუმ მურას
ისე დაჰკრა ერთი-ორი,
ვიღაც ყვირის (მგონი, ვირი)
„ეს ლომია, განა ღორი?!“
ამ ამბავზე ატყდა ომი —
როგორ, ღორს უწოდეს ლომი?

ლომი უცებ ისე გაწყრა,
მელას ყბაში ისე გასწნა,
მგელი შიშით აიწურა...
ვირს ახსოვს ლუტუ-მურა,
ყველა ყველას დაემდურა...
რას სჩადიან? ვინ რას შვრება?
კურდღელი მგელს ეომება?
ზღარბმა გაჰკრა კბილი ტურას,
ფისო ისევ ყვირის „ურას“,
მაგრამ თავში ხვდება კეტი,
გათიშავს და ფისოს მეტი
აღარ დასცდენია „ურა“...
თაგვი დროს იხელთებს, სთხლიშავს,
„ახიაო, არა გიშავს!..“
„უტი-ატი“, შფოთავს კვატი,
სპილო ამსხვრევს ბროლის ჭიქებს...
ცხენი ისე აყრის ტლინკებს,
სული ეხუთებათ ჭინკებს.
აქეთ ზუთხი მელას უფრთხის,
ვინ ვის ურტყამს, ზედახორა...
კურდღელი მგელს კვანტს გამოსდებს,
ციყვი დათუნიას ტორავს!
გაილახა ასი (ათი)
დასახიჩრდა (ასი) ორი...
და უმტკიცებს არწივს ქორი:
„...ღორი არის მხოლოდ ღორი!..“
„...ვინ უწოდა იმას ლომი?!..“
„...ვინ ამოთქვა და რა პირმა?!..“
ჯორცხენამ თქვა: – მგონი, ვირმა!..
ვირი შიშით აიწურა,
როცა დაემოწმა ტურა...
ლომმა დაჰკრა გონგზე ტორი,
მოკრივენი ერთად, ორივ
შეკრა და შეახრამუნა!..
ასეთია ღვთის კანონი:
ქვეყნად რომ არ იყოს ომი,
ღორი უნდა იყოს ღორი,
ლომი უნდა იყოს ლომი...
თუ სხვას იტყვის სადმე ვირი?
იქვე აუკარით პირი!..



მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე





ეროვნული ბიბლიოთეკა

# კინორეჟისორის ბავშვობიდან

— ბაბუა მყავდა უცნაური და კარგი კაცი, ძალიან კარგი კაცი. აი, სიჩუმე, შინაგანი სიდიადე, აუჩქარებლობა... მაღალი კაცი იყო, მხრებიანი, დიდი ტორებით, დიდი შუბლით, ცისფერი თვალებით, თეთრი წვერით, „ბიბლიური მოხუცი“. მე ბებია-ბაბუასთან ვიზრდებოდი გურიაში. ბებიას ყურთ არ ესმოდა. რომ დავუყვირებდი ხანდახან, ჩავძახებდი პირდაპირ ყურში, მეტყოდა: რა გაჯღორინებს ბიჭო, ბომბი გაგისკდა მაგ ყბაშიო. წარმოვიდგენდი ბომბის ყბაში გასკდომას და გადავფიჩინდებოდი. ზარბაზანი რომ დაგეცალა ყურთან, ვერ გაიგებდა, მაგრამ ჩემი ჩურჩულიც კი ესმოდა, ალბათ, ტუჩების მოძრაობით. ვიზრდებოდი მათთან, ბებიასთან და ბაბუასთან.

ერთი სიტყვით, მოდის პირველი სექტემბერი, სკოლაში წასვლის დროა და ბებია-ბაბუას შორის ასეთი დიალოგი იმართება: „პირველი სექტემბერია მალე და ბალანეს თითი აქვს გამოვარდნილი წუღადან!“



ომის დროა, ყველაფერი დაკერებული მაცვია. ბებია ბაბუას ტანსაცმელს აჭრიდა და ჩემსას აკერებდა, იმას მაინც გრძლად ჰქონდა.

მოკლედ, გადაწყვიტეს პარასკეობას მსხალი წაეღოთ გასაყიდად. დასავლეთ საქართველოში ორი დღე იყო ასეთი — პარასკეობა და კვირაობა. ამ დღეებში ბაზარში ჩადიოდა ქვეყანა, ვინ საყიდლად, ვინ გასასყიდლად. პარასკეობაზე იყო გაცნობა და დიდი ამბები. განსაკუთრებით ემზადებოდნენ — გაკრეჭილი, გალამაზებული მიდიოდა ხალხი. სწორედ ერთ-ერთ ასეთ პარასკეობაზე ბაბუამ მსხლის წაღება და ჩემი წაყვანა გადაწყვიტა. დიდი თავრჯულა მსხალი გვქონდა ეზოში, ბაბუამ ჯერ გოდორი შეაკეთა, რომლითაც მსხალი უნდა წაგვეღო. მისთვის გოდორი იგივე იყო, რაც დღევანდელი ოლიგარქისთვის — მერსედესი. გოდორი როგორი უნდა ყოფილიყო იცით?! კონსტანტინე, ჩემი ბაბუა, ზურგზე რომ აიკიდებდა, ხალხს თვალი ვერ უნდა მოეწყვიტა. ბაბუამაც შეასწორ-შემოასწორა გოდორი, დაკრიფა მსხალი, უსუფთავესი ჩვრით გაწმინდა, გოდორში ოქროსფერი თივა ჩააფინა (მას მერე ასეთი თივა აღარ მინახავს, არც მგონია, სადმე არსებობდეს) ჩააწყო ფენა მსხლებისა, მერე ისევ თივა, მერე მსხლის ფენა, ისევ თივა... (რომ გავიზარდე და უცხოეთში წავედი, გამიკვირდა, მაღაზიაში ხილი რომ ვნახე ისე ერთნაირად ჩაწყობილი, „პატრონებივით“, ერთი ზომის... გამახსენდა, ბაბუაჩემი ამას ჯერ კიდევ როდის აკეთებდა). მსხლებმა ერთმანეთი არ უნდა დააგლახოსო — იტყოდა ბაბუა. სახლში რაც ყველაზე მეტად თეთრი ტილო ჰქონდა, გახამებული, ბებიამ გოდორს ის შემოაკერა თავზე.



გოდორი მზადაა დილისთვის, დადგმულია ისეთ ადგილას, საიდანაც ადვილია აწევა. მეც მომზადებული ვარ. ერთი შავბეწვიანი თხა გვყავდა, დაკლაკნილი თმით, წვერებიანი, შავი, ჭროლა თვალებით, ყვითლად რომ ანათებდა ღამეში — იმას რომ „გახუჭავდა“ ბებია, იმ მაკრატლით მერე მეც „წამახუჭავდა“, კრეჭისას თუ არ მოვისვენებდი, ისე წამკრავდა ხელს თავზე, თითქოს თავი კი არა, ხაპი მება მხრებზე. მოკლედ, მე — გახუჭული, გოდორი — გამზადებული. ვწევარ ბაბუასთან, მართალია, ყველაფერი გადაწყვეტილია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ხომ გაგიგონიათ? ხომ შეიძლება უცებ გადაიფიქრონ და არ წამიყვანონ? მახსოვს ბაბუას სურნელი: ხარის, ჩალის, ხის, მიწის, მზის სუნი... რა არომატი არ ჰქონდა მის ლოგინს. ამ სურნელით თავბრუდახვეული დავქანდებოდი, დავქანდებოდი და წავიდოდი ორმოში — ასე ვეშვებოდი ძილის საუფლოში. ვისაც ვკითხე, აღმოჩნდა, თურმე, ყველა ბავშვი ასე იძინებს — უცებ, უცებ და ბაც! ორმოშია — უცბად ითიშება.

დილით ყველაზე გვიან გამაღვიძეს, გამოიძინოსო. დაფეთებული წამოვხტი, ბაბუა რომ ვერ ვნახე ლოგინში. ჭის წყლით დამაბანინეს პირი. იცით, რას ნიშნავს ჭის წყლით პირის დაბანა? ეს არის ყინულივით წყალი, უსუფთავესი. დილით სახეზე რომ შეისხამ, პირველად ძალიან ძნელია, ჯერ სახე დაგეწვება და არიქა... პირსახოცი... მაგრამ რომ შეიმშრალებ, სახეც და შენც სადღაც მიფრინავთ...

ბებიამ ჭიშკრამდე გამოგვაცილა მე და ბაბუაჩემი. პირჯვარი გადაგვწერა.

დილაბნელია, შარა ჩანს მარტო, როგორც ნათელი ლენტი, დანარჩენი ყველაფერი მხოლოდ ერთი სიმუქითაა შევსებული და... მამლების გადაყივლება. ეს ის დროა, როცა შარაზე მიდიხარ და ისეთნაირად აღმოჩნდება შენს წინ ადამიანი, რეაგირებას ვერ ასწრებ, იმიტომ რომ ბნელიდან გამოვიდა. „დილა მშვიდობისა“ — გესალმება. მეც, ბაბუასთან ერთად, უნდა გავცე პასუხი, მეც კაცი ვარ!

ასე ჩავედით ლაკირულში. კვირიკეთის შემდეგი სოფელია. შუა გზა ოზურგეთამდე. სოფელში ერთი პატარა დუქანია და დუქნის გვერდით ერთი მოსახლის ეზო-კარია — ოდა და ოდის წინ, როგორც ყველგან გურიაში, ჭიშკრამდე დათესილი ლობიო და სიმინდი.





სიჩუმეში უცებ ვხედავ, რომ ქიშკარი ღიაა და ეზოში ვიღაცის ძროხა ჩასულა (მაშინ ღამე გადაღმა ტოვებდნენ საქონელს). შესულა ეს ძროხა ყანაში... ძროხამ ასე იცის, რასაც ჭამს, ჭამს, რასაც არა და, მოჰკიდებს ენას და ჩამოამტვრევს. გაჩერდა ბაბუა, გავჩერდი მეც. გლახათაა საქმეო, — მითხრა ბაბუამ — ქიშკარი დარჩენიათ ღია და სძინავს მაგ ხალხსო. აი ძროხა, ბაბუა, თლათ გაანადგურებს ყველაფერს, სორომ-გორომად გახდის მაგ ყანასო. შევწუხდი მეც. მოდი, ამ გორიცას (გოდორს) ჩამოვდგამ ყორეზეო, მითხრა, შენ ხელით მიაწექი, არ გადმოვარდეს, მე შევალ და ძროხას გადმოვდენიო. ვდგევარ, ვუყურებ ამ ჩემს დიდ ბაბუას, დიდი მხრებით, დიდი ტორებით... ძროხა ისე უხმაუროდ და ფრთხილად გადმოჰყავს, ფეხსაც მიწას ისე ფრთხილად აბიჯებს... ვხვდები, ამას იმიტომ აკეთებდა, მძინარე ოჯახი არ გაეღვიძებინა და ძროხაც ნაკლები ზარალით გადმოედენა. ასევე სიფრთხილით დაკეტა ბაბუამ ქიშკარი და ისე აიკიდა გოდორი, ხმა არც ერთს არ ამოგვიღია. გამოვედით შარაზე და... როგორ გგონიათ, რას ვფიქრობდი მაშინ? როგორ მიყვარდა ბაბუა იმ დროს, დღემდე მომყვება ის გრძნობა, როგორც ზომა დიდი, გამჭვირვალე სიკეთის, ღმერთის გამოცხადებას ჰგავდა იქაურობა.



იმავე დღეს მოხდა ერთი ამბავი. ჩამოვედით 1905 წლის ქუჩაზე. ოზურგეთის შესასვლელთან გზა იყოფა: ერთი აბრეშუმის ქარხნისკენ მიდის, მეორე, მოკლე გზა — პირდაპირ ბაზრისკენ, ამ მოკლე გზაზე, (ზედ გზაზე) ცხოვრობდა კაცი — შუტუნიე სალუქვაძე. ვინ იყო ახლა ეს კაცი ერთფუთიანი მუცლით და სამფუთიანი თავით?! ოზურგეთის ფეხბურთელთა გუნდის „მერცხალის“ მეკარე. აი, მოგორავს ბურთი უბრალოდ, თავისთვის... შუტუნიე იქ წკვერტებს გააკეთებდა?!! რა ტაში და ამბავი იყო მაგაზე.

ეს შუტუნიე ცხოვრობდა გზაზე, მრგვალ მაღალი მესრით შემოღობილ ეზოში. წყალი გაჰყავდა თუ რა იყო, გადაეთხარა გზა, თან ნაწვიმარიც იყო და უსაშველო ტალახი... ბაბუამ მითხრა, მოვისვრებით ჩვენ აქ ბაბუა და ჯობია შორიდან მოვუაროთო. წავედით აბრეშუმის ქარხნისკენ. იმ გზაზე სამხედრო გარნიზონი იდგა, ოდნავ შემაღლებაზე. მოლიანი დაქანება იყო გზისკენ, გზასა და შემაღლებას შორის, ნაპირზე პატარა რუ ჩამოდიოდა. ჯარისკაცები ჩამომსხდარიყვნენ რუსთან და ჩექმებიანი ფეხები ჩაეწყოთ შიგ. სანამ ჩავუვლიდით შორიდანვე შეგვამჩნიეს. დილა მშვიდობისაო, უთხრა ბაბუამ, როცა გავუსწორდით. იმათ, დილა მშვიდობისას ნაცვლად, რა მიგაქვთ, ბაბუაო, ჰკითხეს. მსხალი მიმაქვსო, ბაბუამ. ამ ხმაში იგრძნობოდა, რომ მსხალი კი მიგაქვს, მაგრამ არ არის მარ[illegible] შემოსაზღვრა კარგი. ბაბუას სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ერთი ჯარისკაცი გადმოახტა რუს და პირდაპირ ჩვენკენ წამოვიდა. კი არ უკითხავს რამე, პირდაპირ მოვიდა და ბაბუას უთხრა, შეიძლება, ცოტა მომცეო? სახეგანათებული კაცი გინახავთ და იცით, მაგრამ მთლიანად, მთელი სხეული რომ ანათებდეს... ბაბუას შევხედე და დავინახე, მთელი სხეული განათდა. გოდორი ჩამომალებინეო, ბაბუამ უთხრა. თავზე მოკერებული თეთრი ტილო შეარღვია, თავისი დიდი ტორები შიგნით შეყო და მეგონა, მთელი გოდორი გამოაქვსმეთქი. მეც ეგ მინდოდა, პატარა ბიჭი ხომ იცით, ბევრი მინდა მისცეს, ჯარისკაცები არიან... ჰოდა, გაუსწორდა, მაგრამ ვხედავ, ამ ერთი ჯარისკაცის უკან მეორე დგას, მესამე, მეოთხე და კიდევ ემატებიან... ბაბუამ დაცალა გოდორი. აძლიეს ფული, მოიკლა თავი, არ გამოართვა. შეეცოდდათ ძალიან. ერთმა ჯარისკაცმა ძველი შინელი გამოუტანა, მაზარა. არ იღებდა ამასაც ბაბუა, მაგრამ ჯარისკაცმა აჩვენა, მეორეც მაქვსო. ერთმა ვერცხლის პორტსიგარი მისცა. ახლაც სახლში გვაქვს. პორტსიგარს რუსული წარწერა ჰქონდა, და რადგანაც არც მე და არც ბაბუამ რუსული არ ვიცოდით, მშვიდად წამოვიღეთ საჩუქარი. სახლში კი იმისთანა ამბავი დაგვაწიეს!... იმ საღამოს ჩემი მშობლები და ძმაც ამოვიდნენ ქალაქიდან და რომ წაიკითხეს, რა ეწერა, იმ ღამესვე უნდოდათ ეფრინათ სამხედრო ნაწილში ჩემი ძმა პორტსიგარის დასაბრუნებლად. წარწერა ასეთი იყო: „საყვარელ კოლიას საყვარელი ცოლისგან“ — დილაუთენია ჩემი ძმა გაუშვეს ქალაქში, მაგრამ ჯარისკაცები იმ ღამით აერეკათ და ფრონტზე წაეყვანათ. პორტსიგარი კი დაგვრჩა და დევს მას შემდეგ ბუხრის თაროზე.

ერთი სიტყვით, ბაბუამ თივა გორიცაში ჩაყარა, ბებიას გახამებული ტილო ჩაახვია შიგნით, მოიკიდა ზურგზე და მეუბნება, ბაბუა, მოდი, მაინც ჩავიდეთ ბაზარში, გავიგოთ, რას ფასობს მსხალიო. ჩავედით, მეც ეს არ მინდოდა? ჩავედით, მაგრამ მოულოდნელად, კონსტანტინე ბაზარში არ შევიდა, ბაზრის შესასვლელთან უკანასკნელი კაპიკებით საწუწნავი მამალო კანფეტი მიყიდა და მითხრა, რად გვარგია ახლა ჩვენ ფასის გაგება. პირველ სექტემბრამდე ერთი პარასკევი კიდევ გვაქვს, ბაბუა, წინ, ჩამოვიტანოთ მსხალი, მაგრამ იმ ქუჩით ნუღა წავალთ, ამ ქუჩით წამოვიდეთო.




ჩაიწერა *მაია წივწივაძემ*



**შეცდომის გასწორება!**

*„დილის“ 2004 წლის მე-4 ნომერში დაიბეჭდა რეზო ესაძის არაკი „მელიას და მურას გაბაასება“, რომლის ილუსტრირებისას მხატვარმა ლექსის გმირები ჩაცმულ-დახურული წარუდგინა მკითხველს.*

*ტექსტის მიხედვით კი უნდა ყოფილიყო ასე:*

მხატვარი თეა მიქაია





ბესიკ კეკელიძე

## ნოდარიკოს

ჩემო ბიჭუნავ, პატარავ,
მამის დიდი ხნის წადილო,
ქართული გენის ნაყურო,
კაცის ჩითილო ნამდვილო.
ღვთის ნებამ დიდი მოგყაროს,
ბრძენი და შეუდრეკელი,
სამშობლოს ფარად აღგმართოს
განგებამ, როგორც კედელი.
ფესვი გაიდგი მიწაზე,
გამრავლდი ადამივითა
და დამიღვინდი კაცურად,
კახური მაჭარივითა.
მუხლს არასოდეს ემტყუნოს,
მტრის გამორჩევა იცოდე,
სიყვარულს დაჰფოფინებდე,
მოყვრისთვის სანთლად იწვოდე.



ნინო არსენიშვილი

## მონადირე ხატაურა

კატა მყავდა ხატაურა,
მეგობრობდა მასთან მურა.
ერთხელ ერთად ინადირეს,
სულ გაწყვიტეს მგელი, ტურა.
— კატამ თაგვზე ინადიროს!
— ასე ამბობს ბიჭი ზურა, —
მგელ-ტურაზე ნადირობა
მე დამითმოს ხატაურამ.
ახლა ტყეში სანადიროდ
ერთად წავალთ მე და მურა.



# ამოცანები

დალი მაზმიშვილი

თაგუნებმა თათებით
თამელები ათვალეს,
თითო თაგვმა თამელა
გადათვალა ათამდე.
თურმე თათო თაგუნას
ათი თაგვი ჰყოლია,
ათჯერ ათი თამელა,
სულ რამდენის ტოლია?

გიორგი მეტრეველი

მამუკას სოკოთა რიცხვი
სამჯერ თხუთმეტი იქნება.
ცელქმა გიორგიმ კი შესძლო
თვრამეტით მეტის მიგნება...
თინიკოს სამჯერ შვიდი აქვს
და სხვაზე მეტი ჰგონია...
ახლა, მითხარი: სამივეს
რამდენი სოკო ჰქონია?



მხატვარი
ნათია არველაძე



ვლადიმერ ასლამაზიშვილი

# გოგო ასკაბიანი

იყო ერთი ჯიუტი, თავისნათქვამა გოგო.

ათი წლის რომ გახდა, დაბადების დღეზე საჩუქრად ათჯერ ათი კაბა მოუტანეს.

– ყველა კაბა ახლავე ჩამაცვითო! – თქვა იმ გოგომ.

უარს ვინ გაუბედავდა? დაფაცურდნენ შინაურები, ჯერ ერთი კაბა ჩააცვეს, მერე – მეორე, მეორეს მესამე მოაყოლეს, მესამეს – მეოთხე!..

კაბას კაბა რომ ემატებოდა, დედას და ბებიას სახეზე ოფლი გადასდიოდათ, წვალობდნენ, რა უნდა ექნათ? კაბებს ჩუმად გვერდებს ურღვევდნენ და ისე აცმევდნენ. იმდენი იწვალეს, იმდენი, რომ ასივე კაბაში გამოაწყვეს. წარმოიდგინეთ, რას დაემსგავსებოდა გოგონა ას კაბაში – უზარმაზარ კომბოსტოსავით დამრგვალდა.



– გამიყვანეთ გარეთ, მინდა ჩემი ლამაზი კაბები ბავშვებმა ნახონო.

ერთ მხარეს დედა დაუდგა, მეორე მხარეს – ბებია და აივანზე გაიყვანეს.

გოგონამ იქიდან ეზოში ჩასვლა მოიწადინა.

მაშინ მოხდა, რაც მოხდა: კიბის საფეხურზე ფეხი დაუცდა და ეზოში ბურთივით ჩაგორდა. იმდენი იკოტრიალა, რომ მასთან დაბადების დღეზე მოსულ, მოთამაშე ბავშვებში ამოყო თავი.

გაკვირვებულმა ყმაწვილებმა ახედ-დახედეს, ეს რა ბოღჩა მოგორდა ჩვენთანო და აკისკისდნენ.

– ბოღჩა კი არა, კომბოსტოა, კომბოსტო! მოდით გავაგორ-გამოვაგოროთო! – იყვირა ერთმა ბიჭმა!

გაბრაზდა და რა გაბრაზდა გოგო.

– კომბოსტოცა ხარ და ბადრიჯანიც! ვერ ხედავ, დღეს ჩემი დაბადების დღეა და ასი კაბა მაცვია?!

– კომბოსტოს დაბადების დღეა, კომბოსტოს დაბადების დღეა! – აჟრიამულდნენ ბავშვები.

ბევრი იჯავრა გოგონამ, ფეხებიც აბაკუნა, მაგრამ არავინ დაუჯერა, რომ კომბოსტო კი არა, ასკაბიანი გოგო იყო.

როცა არც გაჯავრებამ გაჭრა, არც ფეხების ბაკუნმა, მაშინ მიხვდა, რომ ას კაბაში გამოწყობილი, სულ არ ჰგავდა ჩვეულებრივ გოგონას, მართლაც სასაცილო ჩანდა და დაიძახა:

– სად ხართ, დედა, ბებია! ჩქარა, კაბები გამხადეთ!

იმათაც სწრაფად დაუწყეს ნაირ-ნაირი კაბების გახდა. ზოგსაც თვითონ იხდიდა გოგონა. მარტო ერთი, პეპლის ფრთებივით მოხატული, ლამაზი კაბა დაიტოვა.

უხ, რა მშვენიერი იყო იმ კაბაში გამოწყობილი, ზღაპრულ ფერიას ჰგავდა. იდგა აღტაცებულ ბავშვებს შორის და მორცხვად იღიმებოდა.

მხატვარი
**გიორგი ლოლუა**

# ყველაზე ჭკვიანი



თითქმის ნახევარი წელი მიმდინარეობდა კონკურსი 12 წლამდე ბავშვებს შორის „ყველაზე ჭკვიანის“ ტიტულის მოსაპოვებლად, სადაც ბევრი ნიჭიერი ბავშვი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ საფინალო გათამაშების გამარჯვებული მხოლოდ ერთია — 53-ე საუნივერსიტეტო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე თორნიკე ჭუმბურიძე.

***– როცა გამოცხადდა კონკურსი „ყველაზე ჭკვიანი“, შენ თვითონ მოინდომე მონაწილეობის მიღება თუ მშობლებმა გირჩიეს?***

– მე მოვინდომე, იმიტომ რომ ყოველთვის უნდა ეცადო, მაქსიმალურად გამოსცადო შენი თავი.

***– ძნელი იყო გამარჯვება? მონაწილეებს ღელვა არ გეტყობოდათ. კადრს მიღმა რა ხდებოდა? ხომ არ უტირია ვინმეს?***

– კი, იყო ასეთი შემთხვევები, ზოგს ნერვიულობისგან გული წაუვიდა, გონება დაკარგა... რა თქმა უნდა, ძნელი იყო. განსაკუთრებით ვღელავდით რეპეტიციაზე, რადგან ამ დროს ფსიქოლოგიური დატვირთვა ნაკლებია და ყველა ბავშვი ძლიერი ჩანს, უფრო ამჟღავნებს თავის შესაძლებლობებს. ყველას შეგვეშინდა, იმიტომ რომ ყველამ კარგად უპასუხა. მერე შედარებაც კი არ იყო – ბავშვებმა, რომლებიც რეპეტიციაზე კარგად პასუხობდნენ, გადაცემის დროს ინერვიულეს და ამიტომაც ვერ მოახერხეს გამარჯვება.

***– გადაცემის ჩაწერის დროს შენ არ ნერვიულობდი?***



– საერთოდ, მე რეპეტიციაზე ვერ ვავლენ თავს, სამაგიეროდ ჩაწერის დროს არასოდეს ვღელავ, ჩემს თავს ვაკონტროლებ, რომ არ ვინერვიულო.

***– შენს თავში დარწმუნებული ხარ?***

– ბოლომდე-მეთქი, ვერ ვიტყვი. აი, როცა უკვე პირველ 45-წამიან შეკითხვებში 13 ქულა დავაგროვე, საკუთარი თავის რწმენა მომემატა და მივხვდი, რომ გავიმარჯვებდი.

***– შენზე ამბობენ, თუ წიგნი მოეწონა, ღამით, შუქიც რომ არ იყოს, ხელში ფარანს დაიჭერს და ისე კითხულობსო. რომელი წიგნი გაქვს ფარნით წაკითხული?***

– მთლად ასეც არაა, მაგრამ, მაგალითად, „ბიძია თომას ქოხის“ კითხვა დაახლოებით 9 საათზე დავიწყე და ვერ მოვშორდი, ღამის 4 საათამდე ვკითხულობდი.

***– ყველაზე მეტად რომელი წიგნები დაგეხმარა გამარჯვებაში?***

– ალბათ არ გაგიკვირდებათ და, თქვენი გამოცემები. ერთ მაგალითს მოვიყვან: პირველ ტურში დაგვისვეს კითხვა, რომელი ქვეყნიდან იყო ცნობილი ფილოსოფოსი თალეს მილეტელიო სწორედ წინა დღეს თქვენი ენციკლოპედიის მესამე ტომში ვკითხულობდი ინფორმაციას ანტიკური სამყაროს შესახებ და კარგად მახსოვდა.

***– კომპიუტერში შეგიძლია მოძებნო და წაიკითხო იგივე, რაც წიგნშია. შენ რომელი გირჩევნია?***

– წიგნში წაკითხვა ჯობია, წიგნი შეუცვლელია. ჯერ ერთი, წიგნში, აი, მაგალითად, თქვენს ენციკლოპედიაში, ყველაფერი ერთად არის თავმოყრილი, სახალისოა, აქეთ-იქით ჩანართები და დამატებითი ინფორმაცია რომ ახლავს, კარგად იკითხება, თან ფოტოები და ნახატებიც ახალისებს. მეორეც, ინტერნეტში შეიძლება იმდენ ცრუ ინფორმაციას წააწყდე, გაგიჟდები. მე, მაგალითად, მაინტერესებდა, საიდან მოდის ოლიმპიური თამაშები, რატომ ჰქვია ასე. ინტერნეტში ეწერა, ოლიმპიური თამაშები იმიტომ ეწოდა, რომ მთა ოლიმპოსის ქვეშ იმართებოდაო. აი, ასეთი სისულელეებიც შეგხვდება.

***– შენ თვითონ როგორ გგონია, ხარ ყველაზე ჭკვიანი ბავშვი?***

*ინსტრუქცია ჭკვიანი ბავშვებისათვის*



— ვერ გეტყვით, მე გადაცემის სათაურიც არ მომწონს. ჯობდა „ყველაზე ერუდირებული“... თუმცა, არც ის მგონია, ყველაზე ერუდირებული ვიყო საქართველოში. არიან ბავშვები, რომლებმაც უფრო მეტი იციან, მაგრამ არ შეუძლიათ, ეს ცოდნა სწრაფად გამოამჟღავნონ და ამიტომაც არ გაუმართლათ... აქ მხოლოდ ერუდირება და ჭკუა არ კმარა, საჭიროა სისხარტე, მობილიზება, მიზანსწრაფულობა...

***— მძიმე ტვირთია პოპულარობა?***



— ერთი მხრივ, მძიმეა. მერე და მერე უკან რომ წავიდე, აღარ გაპატიებენ. ანდა, თამამი ნაბიჯი რომ გადადგა, იტყვიან, აი, თავში აუვარდაო... სახელს გაფრთხილება უნდა.

***— ხომ არ გინდა მამაშენს, ცნობილ ჟურნალისტს, პოპულარობაში გადააჭარბო?***

— მგონი, უკვე გადავაჭარბე.

***— რომელი „ტრაბახობს“, მე მგავსო, დედა თუ მამა?***

— ბებია.

***— ბებია? იქნებ გვითხრა მასზე რამე...***

— გურულია რა...

***— შენი ნაცნობი გოგონები ძველებურად გხვდებიან თუ გეპრანჭებიან?***

— ჩვეულებრივად.

***— არაფერი შეცვლილა სკოლაში? როგორ შეგხვდნენ?***

— თბილად დამხვდნენ, ზარ-ზეიმით. მილოცავდნენ. ჩემი კლასელები სულ იმას გაიძახიან, ყველაზე ჭკვიანი მოდის, გზა დაუთმეთო! მეც მსიამოვნებს!

***— გქონია რამე მეტსახელი მანამდე?***

— უარესი — „პროფესორა“. პროფესორას რომ მეძახდნენ, ვამბობდი, ორი წელიც მაცადეთ და მართლა გავხდები-მეთქი.

***— ალბათ გსიამოვნებს ყურადღება?***

— კი, სასიამოვნოა, როცა გიფასებენ. ყოველთვის ასე იყო. საბერძნეთში რომ წავედი, მაშინაც აღნიშნა ჩემი წარმატება სკოლის დირექტორმა.

***— საბერძნეთში როდის იყავი?***

— ბერძნების სათვისტომომ საბერძნეთის კულტურისა და ოლიმპიადის თემაზე კონკურსი ჩაატარა რესპუბლიკის მასშტაბით. თხუთმეტმა ბავშვმა გავიმარჯვეთ და სამი კვირით გავემგზავრეთ.

***— ვიცი, პირველობა გიყვარს. შატალოზე წამსვლელთა შორისაც პირველი ხარ ხოლმე?***

— მეორე არ ვარ...

***— არ წერ?***

— კი, ვწერ, მერე ვბეჭდავ ხოლმე. საკუთარ გაზეთსაც ვაკეთებ, მაგრამ არავის ვაჩვენებ.

***— რისთვის აკეთებ, თუ არავის აჩვენებ?***

— ვხალისობ.

***— კონკურსში „ყველაზე ჭკვიანი“ რეგიონებიდან ბევრი მონაწილეობდა?***

— კი. ძალიან ბევრი ბავშვი იყო ქუთაისიდან. მაგრამ, იცით, რა არის, ძალიან ცოტამ გაიგო, რომ თბილისში ასეთი კონკურსი ტარდებოდა. მე, მაგალითად, სრულიად შემთხვევით გავიგე, რეკლამიდან.

***— რა განსხვავებაა თბილისელ და რეგიონში გაზრდილ ბავშვებს შორის?***

— სოფელში და, საერთოდ, რეგიონებში უფრო ნაკლებად მიუწვდებათ ხელი კომპიუტერზე, ტელევიზორზე. გურიაში ხშირად ჩავდივარ და ვიცი, რომ ძალიან ბევრ ბავშვს ნამდვილად უნდა ისწავლოს, მაგრამ იქ უფრო ნაკლებადაა ბიბლიოთეკებიც, წიგნებიც. თქვენი ენციკლოპედიები თვალითაც არ უნახავთ.

***— რის წაკითხვას ისურვებდი „დილაში“, როგორი მასალა უფრო გაინტერესებს?***

— უფრო მეტად, „ლეგენდები ლეგენდარულ ადამიანებზე“, საინტერესოა ცნობილი ადამიანების გამონათქვამებიც. ახლაც კი არის, მაგრამ, მეტი რომ იყოს, უკეთესი იქნება, უფრო გაახალისებს.



***— რედაქცია გილოცავს ამ დიდ წარმატებას. გპირდებით რომ საყმაწვილო ენციკლოპედიის ყველა ახალი ტომით დაგასაჩუქრებთ.***

ესაუბრა *მაია წივწივაძე*





მხატვარი
თეა მიქაია



მწვანე მამლის წელი ჩვენში, ჩინური კალენდრის მიხედვით, 2005 წლის 9 თებერვალს შემოაბიჯებს.

როგორ უნათებენ „მამლის წელს“ ვარსკვლავები ჩვენს პატარებს? რა ელით ცხოვრებაში ამ წელს დაბადებულებს და რა გველის მათგან ჩვენ, მშობლებს?

ბიბლიოთეკა



პატარა ვერძები საერთოდ ჭირვეულები არიან და ამ მხრივ არც 2005 წელი იქნება გამონაკლისი — მშობლებო, თავს ნუ მოიტყუებთ, რომ ამ წელს დაყვინჩილებული ვერძები გუგულებად გარდაიქმნებიან.



კურო ბავშვები მამლის წელიწადს უფრო დამჯერნი ხდებიან და მეტ ორგანიზატორულ ნიჭსაც გამოავლენენ. ამ პერიოდში მათ მესაკუთრული ინსტინქტები უმძაფრდებათ: თავიან სათამაშოებს არავის უთმობენ და არც თავის კუთხეს და ოთახს ალაგებინებენ სხვას. გამოსავალი ერთია: უფროსებმა დალაგების პროცესი ბავშვებთან ერთად თამაშად უნდა ვაქციოთ, ხოლო ყოველი წინააღმდეგობა მოთმინებითა და ალერსით გადავლახოთ.



ამ წელს ტყუპების უმრავლესობას ხელოვნებისადმი დიდი ინტერესი გაუჩნდება. მშობლებმა არ უნდა დაზოგონ ძალა და დრო იმისათვის, რომ გამოავლინონ ბავშვებში მთვლემარე ნიჭი: თუ ბავშვი თავის საყვარელ საქმეს მიაგნებს, იგი უფრო დამჯერე და მართვადი გახდება. პატარა ტყუპები მზად არიან დაუსრულებლად ითამაშონ და გაერთონ, ხოლო თუ მშობლები ამას უშლიან, თანაგრძნობას სასწრაფოდ მეგობრებში პოულობენ, უფროსები კი მათ ნდობას კარგავენ.



კირჩხიბები ბუნებით შინამდგომები არიან — შინ ყოფნა უყვართ. ამიტომ მშობლები მზად უნდა იყვნენ მათი პროტესტისათვის — ეს შეეხება სადმე გამგზავრებას, სტუმრად წასვლას თუ საბავშვო ბაღში სიარულს; მოზრდილი კიბოები კი ყოველთვის მოიგონებენ მიზეზს, რათა სკოლაში არ წავიდნენ. მამლის წელიწადს კიბოებს ისე სჭირდებათ მეგობრები, როგორც არასდროს, ამიტომ ეცადეთ ხშირად მოუწყოთ შინ დღესასწაულები და შეხვედრები თანატოლებთან.



პატარა ბოკვრებმა, არა მგონია, მამლის წელს შეიცვალონ თავიანთი ჩვეული თვისებები და ადვილად დათმონ ყურადღების ცენტრში ყოფნა, ამას კი ხანდახან მოჰყვება კონფლიქტები უფროსებთან. ლომბიჭები შეეცდებიან თავი აარიდონ უფროსების მზრუნველობას, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას ავლენენ, თუმცა, საფრთხეს რომ გადაეყრებიან, დახმარებისთვის ისევ მშობლებს მიმართავენ.



ნორჩი ქალწულები თავიდანვე მეტისმეტი ყაირათიანობით გამოირჩევიან. მათს მშობლებს მამლის წელს შანსი ეძლევათ, ბავშვებს გაუღვივონ მოვლენების მიმართ არა მარტო სარგებლიანობის განცდა, არამედ — სილამაზის აღქმის უნარიც. ეს მათ ესთეტიკურ გემოვნებას დაუხვეწს, რაც შემდგომ ყველაფერში გამოიხატება — ჩაცმულობით დაწყებული, ქცევებით დამთავრებული.



ყველა ბავშვ-სასწორს მამლის წელიწადში ეძლევა შანსი, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. მშობლებმა უნდა იზრუნონ მათი შვილების წარმოსახვისა და ფანტაზიის გასამდიდრებლად; პატარა სასწორებს დაეწყებათ მსოფლაღქმის შეცვლა: ნელ-ნელა განთავისუფლდებიან გაუცნობიერებელი შიშის განცდისაგან და თავად აქტიურად ჩაერევიან მათ ირგვლივ დატრიალებულ ცხოვრებისეულ ამბებში.



მამლის წელიწადს პატარა ღრიანკლებს გაკვეთილებისა და სხვა დავალებების შესრულება ნამდვილ სასჯელად ექცევათ. თავის ნებაზე თუ მივუშვებთ, ისინი არც მეცადინეობით აიტკივებენ თავს და არც სხვა საქმით, გასართობს კი ყოველთვის მონახავენ. მშობლებს მოუწევთ მეტი სიმკაცრე გამოიჩინონ, თორემ ღრიანკალუკები „თავზე დაასხდებიან“...

ნორჩ მშვილდოსანთათვის ეს წელიწადი ძალიან იღბლიანი იქნება. ისინი მამლის წელიწადს ცხოვრებისაგან ისეთ გაკვეთილებს მიიღებენ, შემდეგისთვის რომ ძალზე გამოადგებათ. ნუ ვეცდებით, ჩვენს შვილებს ყველა საშუალებით ავარიდოთ ყოველგვარი დაბრკოლება და წინააღმდეგობა — ამით ჩვენ ხელოვნურად დავაბრკოლებთ პატარების დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებას...



F9506



პატარა თხის რქები ამ წელიწადს გარკვეულ სირთულეებს იწვნევენ ურთიერთობებში; ეს გამოიხატება ერთგვარ უნდობლობაში სხვათა მიმართ; ასევე დაეჭვდებიან საკუთარ შესაძლებლობებშიც.

თხის რქები საერთოდ ძალიან პუნქტუალურები და პასუხისმგებლობით ალსავსენი არიან. პატარებს განსაკუთრებით აღიზიანებთ, როცა უფროსები დაპირებებს არ უსრულებენ — ამ ნიშნით დაბადებულები ხომ თავად იშვიათად ტყუიან.



პატარა მერწყულები მუდამ ოცნებებისა და ფანტაზიის სამყაროში ცხოვრობენ, ამასთანავე პანიკურ შიშს გრძნობენ პასუხისმგებლობის წინაშე. წამდაუწუმ ამ ნაკლის შეხსენება და სხვადასხვა შენიშვნა თავმოყვარეობას უჩლუნგებს ბავშვს. პირიქით, თუკი დედა მხარს აუბამს ნორჩ მერწყულს ინიციატივაში და წაახალისებს მის ფანტაზიებს, პატარა მალე დაძლევს შიშისა და უნდობლობის განცდას და ცხოვრების ახალ სიამეებს ეზიარება.

მშობლებს ვურჩევთ, რომ მამლის წელიწადს ხელი შეუწყონ პატარა თევზებს, რაც შეიძლება მეტ ხანს დაისვენონ და კარგად გამოიძინონ. კარგი ხასიათი და ხალისიანი გუნება ათვინიერებს „ლიფსიტებს“ — უფრო დამყოლებად და დამჯერებად აქცევს მათ.

პატარა თევზებს დროის ფაქტორი აშინებთ — ვაითუ ვერ მოვასწროთო... ამისათვის საჭიროა ნებისმიერი დავალების შესასრულებლად მათ საკმაო დრო მივცეთ.



მხატვარი
**გია ლაფაური**

მოამზადა **ნანა კვარაცხელიამ**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული






ანა
ბარკალაია
*აბაშის რაიონის ნოღოხაშის არასრული საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.*

## წვიმა. ქოლგა. საათი

მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა. წვიმის წვეთები სასიამოვნოდ წკაპუნებდნენ სახლის სახურავზე. ჩემს წარმოდგენაში იქ, ზევით, ათასობით პატარა ჭინკა დახტოდა და სათამაშოდ მიხმობდა. ვნატრობდი, წვიმას არ გადაეღო — მე ხომ ახალი ქოლგა მიყიდეს და მინდოდა ყველასთვის მეჩვენებინა. ამიტომაც მალიმალ დავცქეროდი საათს და ღმერთს ვევედრებოდი, ჩქარა გათენებულიყო. ქოლგა საოცრად ლამაზი იყო, სულ ვერცხლისფრად ბზინავდა. შვიდ საათზე უკვე ფეხზე ვიყავი. ასევე მოუთმენლად მოვემზადე სასკოლოდ. გარეთ ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა, ცხრის ნახევარზე სახლიდან გამოვედი, გავშალე ჩემი ახალი ქოლგა და აუჩქარებლად გავეშურე სკოლისაკენ. ახალი ქოლგა და მაჯის საათი სასიამოვნო განწყობას მიქმნიდა. იმ წუთებში ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. უცებ ქვას წამოვკარი ფეხი, დავეცი და... გამომეღვიძა.

აღარც წვიმდა, აღარც ქოლგა მქონდა და აღარც პაწია საათი მიწიკწიკებდა მაჯაზე...

## წმინდა გრაალი — ნუთუ სამუდამოდ დაკარგულია?!

X საუკუნეში ევროპაში გავრცელდა ლეგენდა წმინდა გრაალზე. ლეგენდა მოგვითხრობს თასზე, რომელშიც ქრისტეს სისხლი ასხია და ინახება წმინდა მიწაზე. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ ხშირად ეწყობოდა ექსპედიციები წმინდა მიწაზე წმინდა თასის მოსაძებნად. ჯვაროსანთა აზრით, გრაალი სინას მთაზე უნდა ყოფილიყო. XII საუკუნეში ტამპლიერებმა ექსპედიციაც მოაწყვეს. არავინ იცის, სინას მთაზე ასულებს რა დახვდათ. ზოგიერთის თქმით წმინდა გრაალი საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გადაიტანეს, მაგრამ რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს, გაურკვეველია. ამის შემდეგ, მალე, ევროპაში გავრცელდა ხმა, რომ წმინდა თასი პარიზში არ არის და იქ არც არასოდეს ყოფილა. ამას ამტკიცებდა ადგილობრივი მოსახლეობაც, ტამპლიერები კი საწინააღმდეგოს ასაბუთებდნენ. მოგვიანებით წმინდა მიწაზე მუსულმანთა შემოსევები დაიწყო, ამიტომაც შეუძლებელი გახდა წმინდა გრაალის მოძებნა (თუ იგი მართლა არსებობდა). ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ საფრანგეთის სამეფო ტახტზე ავიდა ლუი IX, რომლის წინააღმდეგაც გაილაშქრეს ტამპლიერმა რაინდებმაც. ამ გალაშქრებას დიდი სისხლის ღვრა მოჰყვა. საფრანგეთის სამხრეთით, ქალაქ მარსელთან, ტამპლიერები ალყაში მოაქციეს. რაინდების თქმით, ამ დროს მათ თან ჰქონდათ თასი. როდესაც ხოცვა-ჟლეტა ატყდა, რამდენიმე რაინდმა თავის დაღწევა მოახერხა და გადამალა გრაალი. სამწუხაროდ, ამ ამბავს ვერავინ დაადასტურებს, რადგან მოწმე არავინ დარჩენილა. დღესაც ეძებენ გრაალს, მაგრამ არავინ იცის, სად არის იგი. ნუთუ მართლა არსებობდა წმინდა გრაალი? დღეს ამ კითხვაზე პასუხს ვერც ერთი სულიერი ვერ გაგვცემს.

**გიორგი კობერიძე**
202 საშ. სკოლა, VIII კლასი

ვსწავლობ ქუთაისის I საშუალო სკოლის VII კლასში, პარალელურად მ. ბალანჩივაძის სახელობის ექსპერიმენტულ-მუსიკალური სასწავლებლის V კლასში (ფორტეპიანოს სპეციალობით), ვარ ქუთაისის ხელოვნების სკოლასთან არსებულ საესტრადო ანსამბლის „ენკიბენკის“ სოლისტი.



## გამოდარება

ჰირქუში ბუნება წარღვნით იმუქრებოდა,
ბინდ-ბუნდში ოცნება ფრთებს უმალ კვეცავდა,
ციოდა, ტიროდა, ქარს ეხეთქებოდა,
პატარა ჩიორას გული ეკუმშებოდა.
ფიქრობდა, ცის სხივი აღარ გაბრწყინდებოდა,
დიოდა, დიოდა, ცრემლები სცვიოდა,
ჩიოდა, ჩიოდა, თუმც სული სტკიოდა,
გონება იმედის ნაპერწკალს მიობდა.
ვით ელვამ გაკვეთა, გააპო ბნელეთი,
ღრუბელმა წაასხა ნაღველი მნათეთი,
ოქროსფერ ნათელად მოვლენილ მთვარეთი,
იმედის ჩირაღდანს აუნთო ნათელი.



**გიორგი დარბაიძე**


ანი და
გურამიკო
გოგუაძეები
ნინო
საყვარელიძე
ლუკა და
გიორგი
კიტრიშვილები
ამირან აფციაური, ერეკლე და ლიზიკო დევიძეები, ქეთევან აფციაური
გილოცავთ დაბადების დღეს!
ნანო
სახოკია
სოფიკო
წეველიძე
ნეკა
ბერიაშვილი





F343
2005
b131/6



გამოდის 1904 წლიდან
გამომცემელი შპს „დილა“

მთავარი რედაქტორი
დოდო წიკლაური

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ლევან ბაბუხადია

პასუხისმგებელი მდივანი
თამარ ნინიკაშვილი

პოეზია:
ვაჟა ყუბუსიძე

პროზა:
მაგდა კვაჭანტირაძე

შემეცნებითი და გასართობი მასალები:
ციცინო მეზვრიშვილი

„დილის“ საყმაწვილო ენციკლოპედია
პასუხისმგებელი რედაქტორი
ალეკო გაბელაია

„დილის“ საყმაწვილო ბიბლიოთეკა
პასუხისმგებელი რედაქტორი
ნანა კვარაცხელია

სტილი:
ცისანა ნიკოლაიშვილი

მხატვრობა და დიზაინი:
გია ლაფაური
თეა მიქაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნუგზარ არჩემაშვილი
მარიკა გიორგაძე
სალომე კვაჭანტირაძე

საფინანსო განყოფილება:
ნაირა ცოცხალაშვილი
გუგული ლეშკაშელი

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:
მაყვალა გიორგაძე
ნანი კაკაჩია

ყდაზე ნახატი:
თეა მიქაიასი



მისამართი:
თბილისი, კოსტავას ქ. №14
ტელ: 93 10 32; 93 41 30
http://www.dila.ge/
ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com


ფასი 2.50 ლარი


ეროვნული ბიბლიოთეკა